გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . | 10 — | 6 . . | 6 — |
| 11 . . | 9 50 | 5 . . | 5 50 |
| 10 . . | 7 75 | 4 . . | 4 75 |
| 9 . . | 8 — | 3 . . | 3 50 |
| 8 . . | 7 25 | 2 . . | 2 75 |
| 7 . . | 6 50 | 1 . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურსა ტგრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი სალიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1886 წელიწადი



სალიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ივერია

გამოვა 1887 წელსაც იმავე პროგრამითა, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1887 წლისთვისაც მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თვითონ რედაქციას, (ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9 ბ) შავერდოვის საგაზეთო საატენტოს (გოლოვინის პროსპექტი, ალექსანდრეს ბაღის ყურეში).

ქუთაისში: ვარლამ ქილაძის წიგნის მაღაზიას.

ხონში: ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

ბათუმში: მ. ნათაძეს.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.


ტფილისი, 25 ნოემბერი

ამ თთვის 11-ს მეთაურს წერილში დავპირდით „ივერიის“ მკითხველებს ვაცნობოთ იგი, რაც ბ-ნს ანდრეევსკის მოუწერია ჩვენის ამიერ და იმიერ კავკასიის საშინაო მრეწველობის თაობაზედ. ჯერ მინამ ამას შევუდგებოდეთ, არ იქნება მეტი გავიხსენოთ მოკლე ისტორია საშინაო მრეწველობისა საზოგადოდ რუსეთში, სახელდობრ, როდის რა მოხდა ამ მრეწველობის გამო და რა გზას დაადგა მისი საქმე.

1874 წელს ფინანსთა სამინისტრომ, დაინახა რა რამოდენად დიდი მნიშვნელობა აქვს საშინაო მრეწველობას მკვიდრთა კეთილდღეობისათვის და ამასთანაც ისიც, რომ ამ საქმეს ხელი უნდა მოწყოს მთავრობის მიერ წარსამატებლად და განსაკარგებლად, შეადგინა განსაკუთრებით ამ განზრახვით კამისია. ამ კამისიაში მოწვეულ იქმნენ სახელმწიფო ქონების და შინა საქმეთა სამინისტროებიც, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს კამისიის შრომაში. ამას გარდა, კამისიაში მოიწვივეს რუსეთის სხვა და-სხვა სამეცნიერო საზოგადოებათა წევრნიცა (Географическое, Вольно-Экономическое, Русское техническое и Общество содѣйствія промышленности и торговлѣ).

ბევრი იშრომა კამისიამ ამ 12-ს წელიწადში და ნაყოფი ამ შრომისა დღეს შეადგენს 14-ს კარგს მოზდილ წიგნსა და ოთხს პატარა წიგნაკსა. ამ ნაშრომში არის ცოტაოდენნი ცნობანი იმიერ კავკასიის საშინაო მრეწველობის შესახებ. იქ არის ლეკურის იარაღის ამბავი, ამბავი ვერცხლის ნივთების და სევადის კეთებისა, არის აღწერა მთელის ყაბარდოს სხვა-და-სხვა გვარის შინაურის მრეწველობისა, ხოლო, ჩვენდა სამწუხაროდ, ამიერი კავკასია, როგორც ხშირად ბევრში, ამაშიაც გამოკლებულია: მასზედ არა ფერი ამბავია. ეს ნაკლებულობა შეუმჩნევია ზემოხსენებულ კამისიის თავ-მჯდომარეს გენერალ ანდრეევსკის და კავკასიის სატეხნიკო საზოგადოების თავმჯდომარის ბ-ნ სტატკოვსკისათვის მოუწერია წერილი და უთხოვნია გაავრცელოს ჩვენს ქვეყანაში კამისიის მიერ შედგენილი წიგნები და წიგნაკები, რომელშიაც ნაჩვენებია, როგორ უნდა ისწავლოს და შეუდგეს კაცი ზოგიერთ ხელთსაქმეს საშინაო მრეწველობისას. ამისათვის საჭირო წიგნებიც გამოუგზავნია ბ-ნს ანდრეევსკის. გარდა ამისა ბ-ნმა ანდრეევსკიმ გამოჰგზავნა პროგრამები და ინსტრუქციები მასზედ თუ,—როგორ და რა გვარი ცნობანი უნდა მოიკრიბოს კავკასიაში შესახებ საშინაო მრეწველობისა. მიუქცევია რა ყურადღება ბ-ნის სტატკოვსკისა ამ პროგრამებსა და ინსტრუქციებზედ, ბ-ნი ანდრეევსკი ითხოვს რაიმე საშუალებით და ღონისძიებით ეცადნენ მოაგროვონ ყოველი საჭირო ცნობა, ყოველი, რაც კი რამ კავკასიის საშინაო მრეწველობაზედ დაწერილა აქაურ თაგან და გაუგზავნონ ხსენებულს კამისიას. ბ-ნი ანდრეევსკი იმასაც სთხოვს აქაურ სატეხნიკო საზოგადოებას, რომ მიაწოდონ კამისიას ნიმუშები ჩვენის გლეხის სხვა-და-სხვა ხელთ-საქმისა მუზეისათვის და ამის შესახები წერილები და წიგნები, აქაურთაგან დაწერილი, ბიბლიოტეკისათვის. ამასთანავე კამისია ითხოვს, რომ აქაურმა სამეცნიერო საზოგადოებამ გამოიძიოს და დაასახელოს იგი ღონისძიებანი, რომელთ წყალობითაც შესაძლოა გავრცელდეს, გაძლიერდეს და განკარგდეს ეს დიდად სასარგებლო წყარო ჩვენის გლეხ-კაცობის კეთილ-დღეობისა.

1-ს ნოემბერს შეიყარა ჩვენი სამი სამეცნიერო საზოგადოება, სამეურნეო, სატეხნიკო და საგეოგრაფიო,—და ამ შეერთებულ კრებაში წაიკითხეს იგი წერილი, რომლის შინაარსი ზემოდ მოვიხსენიეთ. იმის მაგიერ, რომ გამოეკვლიათ რა გზით შეეტყოთ სად რა გვარი საშინაო მრეწველობაა, სად რა უმართავს ხელსა, სად რა უშლის, გამოერკვიათ მიზეზნი მარჯვისა და მარცხისა, სად რა ტკივილია, სად რა წამალი უნდა, ერთის სიტყვით, იმის მაგიერ, რომ ღონე რამ ეღონათ დავალებულის ცნობების რიგიანად და ცნობიერად შეკრებისათვის — მთელი ეს დიდებული კრება ბ-ნ დინგელშტეტის მოხსენების მოსმენაზედ მოსცდა. ბ-ნმა დინგელშტეტმა მოახსენა კრებას და, რასაკვირველია, დიდი ქება შეასხა ხსენებულ კამისიის მხნეობას და მოღვაწეობასა. თუმცა კამისია მართლადაც ამისი ღირსი იყო, მაგრამ იმას ქება-დიდება სრულებითაც არ უთხოვნია: იგი ითხოვს შრომას და გარჯასა და ჩვენ კი აღილო მოვრთეთ. შემდეგ ამ სადიდებელის გალობისა ბ-ნმა დინგელშტეტმა საქმეზედაც მიგვახედა და, ჩამოთვალა რა სხვა-და-სხვა გვარი ჩვენი საშინაო ხელთ-საქმობა და მრეწველობა, ბრძანა, რომ საშინაო მრეწველობის გასავრცელებლად, გასაძლიერებლად და განსაკარგებლად საჭიროა სახელოსნო სკოლები, ცალკე სახელოსნოები (мастерскія), სახელოსნოების საწყობები (складъ), კრედიტის გაიეფება, სოფლის მევალეფელ ვაჭრებთაგან დახსნა, შეგირდების გაგზავნა იმისთანა ადგილებში, სადაც მრეწველობა კარგად არის დაყენებული და სხვა, და სხვა. თუ გნებავთ ერთ ათიოდ ამისთანა წამალს ჩვენც ჩამოგითვლით, თუ კი გამოვა რამე ცარიელის ჩამოთვლითა. ჩვენი უბედურება მარტო ის არის, რომ ჩვენ მარტო ცარიელ სიტყვით ვიგრილებთ ხოლმე გულსა და ვიწყნარებთ სხვისაგან გამოთხიზლებულს სინიდისსა. აბა ერთი დაუკვირდით, თუ ეს მრავალ-გვარი,

# ფელეტონი

## ოთხი დღე

მდ. ენგურის, ცხენის-წყლის და რიონის სათავეებში.

(გაგრძელება *)

სვანების აზრით, ნადირობა მემკვიდრეობითი გარდმოცემაა. ნადირობის მფარველნი, ბატონნი არიან თავი-და-თავი გარდა მამა-ღმერთისა წმ. გიორგი, შემდეგ „დალ“-ი, „აბსასდ“-ი (?), „სგიმ-ბერ-მოძღვარ“-ი და „ელ“-ი. წმ. გიორგის თუ უნდა მისცემს ჯიხვ-არჩვს მონადირეს, თუ არა და არა. მის მახლობელ თანაშემწედ ითვლება „კლდის დალ“-ი (კოჯა დალ). დალი დედათა სქესი არსებაა, მუდამ კლდეებში მცხოვრები. იგი ბედნიერს მონადირეს კიდეც დაენახვება და მაშინ მონადირის საქმე გაკეთებულია; მხოლოდ დალის მნახველ მონადირემ არ უნდა გაამჟღავნოს ეს, თორემ დალს ეწყინება და უთუოდ კლდეზე გადააგდებს. დალს წმ. გიორგისგან ჩაბარებული ჰყავს ჯიხვები და არჩვები და მათი რიცხვი, როგორც ცოცხალის, ისე მოკლულისა, ყოველთვის უნდა იცოდეს. რაც დალს ჯიხვი და არჩვი უყვარს, იმათ მონადირეს არ მოაკვლევინებს. ხალხური სიმღერა დალზე, რომელიც ჩვენ გვაქვს, ამტკიცებს, რომ დალი ხანდის-ხან მონადირესთან წვება. მაგალითად, სიმღერაშია ნათქვამი, რომ ერთხელ დალი მაღალის კლდის თავზე ლოგინად იწვა. ყმაწვილი კლდის თავიდამ გადმოუვარდა, ძირს მგელი დაჰხვდა, სტაცა პირი და დალის შვილი მოიტაცა. ერთმა მონადირემ დაინახა ეს, გაეკიდა მგელს, თოფი ჰკრა, დალის შვილი დაატოვებინა და დედას მოუყვანა კლდის ძირში. დალს-დედას შვილის დაბრუნება გაუხარდა და ეუბნება მონადირეს: რაც გინდა იგი ჯილდო მთხოვეო, გერჩიოს ჩემთან დაწოლა (მიშგეი ლილყურ), გერჩიოს ამდენი და ამდენი ჯიხვი და არჩვი წელიწადშიო. მონადირემ უკანასკნელი ირჩია, დალმა ერთი ნაწნევი ჩამოუშვა კლდის თავიდამ და შვილი მით აიყვანა. სიმღერაში იგიც ნათქვამია, რომ ხარბ მონადირემ დალს აწყენინა, რადგან დაპირებულს რიცხვს ჯიხვ-არჩვისას არ დასჯერდა და ერთობ შეათხელა დალის საყვარელის ჯიხვების ჯოგი. დალი ამაზე გაჯავრდა, მონადირე კლდეზე გადააგდო და მის შთამომავლობას მოუსპო ნადირობა.

„აბსასდიც“ კლდის მცხოვრებია. ამის დალზე ნაკლები უფლება აქვს ჯიხვ-არჩვებზე, ხოლო ფრინველების მფარველად და პატრონად მარტო „აბსასდა“ ითვლება. რაც შეეხება „სგიმ-ბერ-მოძღვარს“ და «ელს»-ა, მათ მაინცა-და-მაინც ბევრი არაფერი უფლება აქეთ მინიჭებული.

მონადირეს აუცილებელად მოეთხოვება, რომ იგი სრულიად განეშოროს მრუშებას, აგრეთვე არ შეჰხვდეს და არ იმყოფოს იმ ოჯახში, სადაც მელოგინე და დედათ რიგში მყოფი ქალი წევს. ამ ქალებს ნანადირევის ხორცი არ ეჭმევათ. არც ხორცს და არც ძვალს ნადირისას არ უნდა მიეკაროს: ღორი, ცხვარი და ქათამი. ნანადირევის ძვლები მონადირემ თავის სახლში უნდა შეინახოს და თუ ბევრი მოგროვდა და ტევა აღარაა, მაშინ მდინარე წყალში უნდა გადაყაროს. მონადირის ამხანაგებმა და ნანადირევის მოზიარე კაცებმა, ხორცის (თავის წილის) შეჭმის შემდეგ, ძვლები უკლებლად უნდა დაუბრუნონ მონადირეს. ბოლოს დრომდე ჯიხვ-არჩვის რქები ეკკლესიებში შეჰქონდათ, ეხლა კი ამ ჩვეულებას თავი დაანებეს, რადგან ფულს შეეხარბნენ და გასყიდვას არჩევენ. ნანადირევს მონადირე და მისი ამხანაგები — შესაგზლეები (მოქცა მოლხიზა) ამ ნაირად იყოფენ: თავს, კისერს და ტყავს მონადირე წაიღებს წილის გარეშე, დანარჩენს ხორცს ყველანი თანასწორად გაიყოფენ. ნანადირევი ღამით უნდა შემოიტანონ სოფლად, რომ თვალი არ ეცეს. ნანადირევის ჭამის შემდეგ ყველანი ხელს იბანენ. სახლში დაბრუნებისას, მოხარშულს ნანადირევს ტაბაკზე ამოიღებენ, რომელშიაც თავი უთუოდ უნდა ერიოს. დაანთებენ წმინდა სანთელს და ერთს წმინდა პურსაც დასდებენ ზედ. მონადირე ამ ტაბაკს ორივე ხელით აიღებს და დაჩოქილი მოჰყვება შემდეგს ლოცვას, რომელსაც ქართულად ეთარგმნი:

„დიდება ღმერთს, მადლი ღმერთს, დამბადებელო, ბატონო ქვეყნისაო (ფუსნ აბყასდიშ), ნანადირევი და მონადირე ყველა შენი გაჩენილია, რა დროსაც კი მოგმართო, ყოველს დროს შენი კარგი ჯვარი დამწერე (პირ-და-პირ დამდგი), მადლი და სახელი იქნება შენი. ქრისტე მაცხოვარო! დიდება შენდა; ჩემს მაწყევარს შენი მახათი ჩაარჭვი (გულში), ჩემს თოფს, ავეჯს და მე კარგი ჯვარი დაგვწერე. მწყალობელო, ცხოველო წმ. გიორგი! დიდება შენდა. ადამიანის მწყალობელი შენა ბრძანდები, დღე და ღამე მარჯვენივ მომყევი, ქაჯ-ეშმაკი მაშორე. ჩემს მწყალობელს ღმერთს დიდება! როდესაც შეგეხვეწო, ყოველთვის შემიბრალე. «დალს» კლდისას დიდება! „აბსადს“ კლდისას დიდება! გარეულის (ცხოველის) (სვანურად—გარაველი) თავსმდგომი შენა ხარ, როს მოვიდე შენს ადგილში (ტყეში), მშვიდობიანად გამომიშვი; გარეულის (ცხოველის) წილი მომეცი, უფროსი ნუ გედიდება, უმცროსი ნუ გეპატარავება; შემოდგომაზე (როდესაც ნადირობა თავდება) მშვიდობით დაგვაბრუნე სახლში მე და ჩემი ამხანაგი კაცები. თუ რამე იკადრებოდეს, მიილოცე, თუ არა და იმისთვინაც ნუ მემდური, შენი საბრალი და საწყალი ვარ; კარგი სვე (სვევ) მომეცი, წყალობაზე წყალობა მიმატე, გარეთ და შინ, ყველგან მიიღე ჩემი ვედრება, ნუ დამიკარგავ შენს წყალობას და ნუ შემიძულებ, ასემც მადლი გექმნება. ქრისტეს ლასდილასას დიდება; მთავარ ანგელოზს ყორულდისას დიდება; მიჩფა (?) (მაცხოვარი?) ვეშგმარისას დიდება; მაცხოვარს კახტისას დიდება; წმ. გიორგის ზესხვისას დიდება; წმ. ბარბალე ლექვერარეშისას დიდება; მთავარ-ანგელოზს ხულიერისას დიდება; ლემთქეშის სალოცავს ანგელოზებს დიდება; შყამან-ჰოროხის წმინდანებს დიდება; ლემჩხაფრის წმინდანებს დიდება; ნეშკირა და ლაწრექთლის წმინდანებს დიდება; ელ-

*) იხ. „ივერია“ № 247.

დომხალისავით არეული ღონისძიებანი ყველა საქმისათვის მზა-მზარეული რეცეპტი არ იყოს. ვსთქვათ, ურივით ღვინის ცუდად კეთებას და იმისი განკარგება გსურთ, რეცეპტი მზად არის: საჭიროა ღვინის კეთების სკოლები, ცალკე სარდაფები, ღვინის საწყობი, კრედიტის გაიეფება, სოფლის მყვლეფელ ვაჭართაგან დახსნა, შეგირდების გაგზავნა იმისთანა ადგილებში და სხვანი, და სხვანი. რას არ მიუდგება მაგისთანა საყოველთაო რეცეპტი? განა თვითონ კამისიას, რომელმაც აქაურთ მეცნიერთა საზოგადოებას სთხოვა დამისახელეთ რა ღონისძიებაა მანდაურ საშინაო მრეწველობის ფეხზედ დასაყენებლადაო, განა, ვამბობთ, თვითონ ამ კამისიას არ ეცოდინებოდა ეს უებარი რეცეპტი? რაღად მოგვმართავდა ჩვენ, თუ მარტო მაგისთანა პასუხს იმარებდა? სჩანს სხვას რასმე ჰთხოულობენ და ის «სხვა რამე» ხელიდამ გაგვისხლტდა.

საქმე ის კი არ არის,—გაცმა ამისთანაები წარმოსთქვას. ნატვრა ბევრის რისამე შეიძლება, ხოლო ესეც კი უნდა ვიცოდეთ, რომ ცარიელის ნატვრით არსად არა გაკეთებულა-რა, არსად არც ერთი ტკივილი არ მორჩომილა. კაცი ამისთანა საქმეში, რომ ღონის-ძიებას ასახელებს, ისიც უნდა დალაგებით და თავის რიგით აჩვენოს, რა გზით, რა ღონით, რა საგზალით შესაძლოა კაცმა სურვილი აისრულოს. თუნდ ამასაც თავი დავანებოთ, ჯერ ეს ვიკითხოთ: ვიცით კი რაზედ ვლაპარაკობთ? ვიცით კი სად რა საშინაო მრეწველობა გვაქვს, სად რა სატკივარი აქვს საშინაო მრეწველობას ჩვენში, რომ წამალს ასე გულ-უხვად ვუმზადებთ? მინამ ყოველი ეს ზედ-მიწევნით შეტყობილი არა გვაქვს, განა ხმა ამოგვედება მასზედ თუ,—საქმეს ხელი როგორ და რა გზით შევუწყოთ! ეგ, ჩვენის ფიქრით, ცხრილით წყალის ზიდვა იქნება.

ვინ არ იცის, რომ სახელოსნო სკოლები კარგია ხრამც თუ მარტო საშინაო მრეწველობის გაძლიერებისათვის, არამედ სხვა ბევრისათვისაც; არც საწყობების, მუზეების გამართვაა, თქვენმა მზემ, ურიგო, არც კრედიტის გაიეფებას დაიწუნებს ვინმე. ესენი ყველამ ძალიან კარგად იცის. გავბედავთ და ვიტყვით, რომ ბ-ნ დინგელშტეტზედ უწინარესაც იცოდნენ ეგ ამბავი. მაგრამ რა გამოვიდა? ჯერ თვითონ ზემოხსენებულმა კამისიამ, რომელსაც ამ მხრით ბევრი შეუძლიან, ვერც ერთი სახელოსნო სკოლა ვერ გაჰმართა ამ თორმეტს წელიწადში, ბ-ნ დინგელშტეტის ნატვრად გამოთქმულმა სიტყვამ როგორ უნდა მოახდინოს ეს სასწაული!.. კრედიტის გაიეფება, მუზეების გამართვა, და .. ვინ იცის სად წავალთ, ნატვრის მადას თუ აღვირი წავუარეთ! ნუ თუ ამაებს დაფიქრება არ უნდოდა,—რა გზით და რა ღონით ყოველივე ეს უნდა მოხერხდეს!..

საქმე კაცმა სათავიდამ უნდა დაიწყოს, თუ მართლა გაკეთება რისამე უნდა და არა მარტო გულის მოფხანვა და ხელის დაბანვა. როგორც მკურნალი ვერა წამალს ვერ ურჩევს სნეულს, რომელიც თვალით არ უნახავს, ისეც ჩვენი სამეცნიერო საზოგადოებანი საშინაო მრეწველობისათვის ვერას გააწყობენ, ვერას გააკეთებენ, თუ კარგად და საფუძვლიანად არ გამოიძიეს, არ გამოარკვიეს ვითარება ჩვენებურის საშინაო მრეწველობისა და მისი ავი და კარგი. ამ გვარს საფუძვლიანად გამოძიებას და გამორკვევას, რა თქმა უნდა, ერთის შეტევით კაცი ვერ მოახერხებს. ამას ყოველ-დღე უყურის დევნა უნდა, წლიდამ წლამდე ბეჯითი მეცადინეობა, ცნობიერი შრომა, მცოდნე კაცის თვალი და გარჯა. აი სატკივარიც მაშინ აღმოჩნდება გზა და გზა და წამალიც გზა და გზა შეერჩევა. ყოველივე ეს შესაძლოა მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენშიაც დაარსდება ან ცალკე შტო იმ კამისიისა, რომელიც რუსეთშია და ზევით მოვიხსენიეთ, ან ცალკე სასტატისტიკო კამიტეტი. არც ერთი და არც მეორე არ გაუჭირდება ჩვენს სამს სამეცნიერო საზოგადოებას ერთად, თუ კი მოისურვებენ, რომ ამ საშინაო მრეწველობის საქმეს საფუძვლიანი სამსახური გაუწიონ. თორემ გუშინ მოგვივიდა წერილი და დღეს პასუხი რამ შევხანხლოთო,—ეს თუ არ ავნებს საქმეს, არას არგებს. ტყუილად კი არ არის ნათქვამი:

„ზოგჯერ სიწყნარე გმობილი
სჯობს სიჩქარესა ქებულსა."

ა. ფ—ვი

## ახალი ამბავი

*** შორაპნის მაზრიდამ გვწერენ: ჩვენსკენ ძალიან გახშირდა ქურდობა. სოფელს ჩხერს ისეთი ქურდობა მოხდა, რომ არ გაგონილა. ქურდები აღარას არ ეპოვებიან, თამამად შედიან სახლში და ისე შინაურულად გააქვთ ყველაფერი ოჯახიდამ, თითქო თავიანთი სახლიაო. ამ თვის 19 ს ქურდები შევიდნენ აზნაურ არჩილ კიკნაძის სახლში. ქურდები ფანჯრიდამ გადასულიყვნენ. მეორე ოთახში ეძინა თურმე სახლის პატრონს და მის ჯალაბს. ქურდებმა ჯერ ის ოთახი გასცალეს, რომელშიაც არავინ არ იყო. რაც მოხვედროდათ, ტანისამოსი თუ სხვა რამ ნივთი და ვეჯი, ყველაფერი გაეტანათ. მერე იქამდე გათამამებულიყვნენ, რომ იმ ოთახშიაც შესულიყვნენ, სადა თვით სახლის პატრონებს ეძინათ. სახლის პატრონს ტანისამოსზე დაკერებული ჰქონოდა სამოცი თუმანი ფული ეს ფული ამოეღოთ და გამქრალიყვნენ. მეორე დღეს დიდი თავში-ცემა შეუდგათ საწყალ კიკნაძეებს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ქურდები არ აღმოჩენილან. არ. კიკნაძემ მამასახლისს იასაული სთხოვა და ხუთიოდე ჩხერელის სახლი გაასინჯვინა, მაგრამ ვერაფერი ვერ იპოვესო.

*** ტფილისის საფოსტო მმართველობას მცხეთაში დაუარსებია ცალკე განყოფილება ფოსტისა. ამავე მმართველობას შულავერში გაუმართავს ამ თვის 19 სატელეგრაფო სადგური, რომელიც მიიღებს და გაჰგზავნის დეპეშებს რუსეთის სხვა-და-სხვა მხრისკენ.

*** ქართლისკენ ფარცხვა კარგს დროს გაუთავებიათ. ზოგან, მეტადრე ბარში მშვენიერი ჯეჯილებია ამოსულიო.

*** საქალაქო არჩევანზე 23 ნოემბერს მესამე რიგის ხმოსნად ამოურჩევიათ სხვათა შორის ილ. მიქელაძე და მ. ვ. მაჩაბელი.

*** ტფილისში ამ ჟამად კარგი დარები სდგას. ღამე მოწმენდილია ხოლმე და ამიტომ დილა-საღამოს ცოტა არ იყოს ჰყინავს ხოლმე.

*** სოფელ ქილურტიდამ (დუშეთის მაზრა) ერთს საზარელ ამბავს გვწერენ: ამას წინად ამ სოფლის მცხოვრებლებმა გიგო თოთრიაშვილმა და შაქრო ციქურიშვილმა ჩაიყვანეს წისქვილში ამავე სოფლის მცხოვრები სოლომონ ნაზღაიძე და მოჰკლეს. აი მკვლელობის მიზეზი რა ყოფილა: ზემოხსენებულთ ორს მკვლელს და სოლომონ ნაზღაიძეს ჰქონდათ სადავო მამულები და სასამართლოში საჩივარი იყო ამ საგანზე გამართული. საქმე გაირჩა სასამართლოში და სადავო მამულები სოლომონ ნაზღაიძემ მოიგო. გიგო თოთრიაშვილსა და შაქრო ციქურიშვილს ჯავრი მოსვლოდათ ამაზე და გადაეწყვიტათ ნაზღაიძეს მოკვლა. 23 ოქტომბერს ჩაიხვლეს ეს კაცი ერთს სოფლის ახლო წისქვილში, ღამე, ჯერ ქვა თურმე დაარტყეს, მაგრამ რადგან ღონიერი იყო და ქვით ვერაფერი დააკლეს, მერე მივარდნენ და ხანჯალი დასცეს გულში, მერე კიდევ შემოჰკრეს ხანჯალი თავში და თავის ქალა სულ გადაართვეს. ნაზღაიძე ახარში დაეჭრათ კიდევ და მაშინ-კი წაქცეულიყო საცოდავი. მეორე დღეს სოლომონ ნაზღაიძე სისხლში გასვრილი და გულ-დალმა დამხობილი იპოვნეს, ჯერ კიდევ არ მომკვდარიყო. მას შემდეგ ექიმების შემწეობით ცხრა დღე კიდევ იცოცხლა. სიკვდილის დროს სულთ-მობრძავმა სთქვა ნიშნები გაქცეულის მკვლელებისა: «ერთს ხელის ზურგი ამოვკბიჩე კბილებითაო და მეორეს თავისივე ხანჯლით ერთი ხელი შუაზე გავუპეო». მართლაც ამ ნიშნებით პოლიციამ იპოვნა მკვლელნი, რომელნიც ეხლა დუშეთის ციხეში არიან დამწყვდეულნიო.

*** გაზ. «კავკაზი» ამბობს, რომ ამ ორის დღის წინად ტფილისის „კრუჟოკში" სასადილო ოთახის ხომლი ჩამოვარდაო. ხომლი სიმძიმით

---

ცხოველს დიდება; შენი დანიშნული ჯიხვი მომეც; როცა შეგეხვეწო, დარი და ავდარი ჩემის ნებისად მიწყალობე. ჯიხვის მწყემს დიდება; არჩვის მწყემს დიდება!!

ამ დროს დაჩოქილი მონადირე ზეზე ადგება, ტაბაკიანად წალმა დაბრუნდება და ამით ლოცვას ათავებს. ეგ არის საზოგადო ლოცვა სვანების მონადირებისა შემდეგის გამოკლებით: რა საზოგადოების მონადირეც იქნება, იმ საზოგადოების სანადირო ადგილების წმინდანებს მოიხსენიებს, როგორც ამ ლოცვაში უშკულის საზოგადოების სანადირო ადგილების ეკკლესია-წმინდანებია მოქცეული. წმ. გიორგი, დალი, აზსასდი და სხვ. ყველასთვის საზოგადოა.

დასასრულ, მონადირის ზნე-ჩვეულებას ამასაც დავუმატებთ. რამდენსაც აქ მოჰკლავს მონადირე ჯიხვ-არჩვს, იმოდენა საიქიოს დახვდება სანადიროდ. მონადირესათვის კარგია მგლის მოკვლა, იმიტომ რომ იგი ყარაულად უდგას ჯიხვ-არჩვის ჯოგს და მონადირესთან მოჰყავს; ფოცხვერის მოკვლა კი (რაც იშვიათია სვანეთში), პირ-იქით, ცუდია, რადგანაც ჯოგს შიგ შუაში შეერევა ხოლმე და განუფანტავს მონადირეს. ყოველი მონადირე ცხონებულია სვანების აზრით.

ამალამ, რასაკვირველია, გეგი ყველა მოვალეობას მონადირის ზნე-ჩვეულებისას და მის ლოცვას უნაკლულოდ ვერ შეასრულებდა. მან მხოლოდ „კოსიდამ"*) ამოიღო თაფლის სანთელი, და აანთო „ნამატევის" მოხარშულს თავზე, რომელიც ხელთ აიღო მაღლა და მოკლე სიტყვით სთხოვა წმ. გიორგის, რომ კვლავ მალე ეწყალობებინა მისთვის „მიჩაქირ" (მისი წყალობა, ე. ი. ჯიხვ-არჩვი). მოხარშულის ხორცის ზოგი ნაწილი სახვალიოდ გადავდევით სადილისათვის; დანარჩენი გავანაწილეთ კაცის სულზე თანასწორად. დავიწყეთ ვახშმობა; ყველანი კარავში მოვთავსდით, რადგან წვიმა თან-და-თან მატულობდა. ცეცხლი გავაძლიერეთ, ოთხ-ხუთ საჟენის სიგრძე ხეებს, ცეცხლზე დაყრილს, ტკაცუნი გაჰქონდა; ცეცხლის ალმაც ახლო ხეების შტოები შეალურჯა. დიდს მანძილზე ჩვენს გარშემო განათებული იყო ადგილი. შორიახლო ხეებზე მიბმული ძროხები თავიანთ დიდის და დაღალულის თვალებით შემოგვცქეროდნენ. ვახშამი კარგა ხანს გაგრძელდა; ყველანი ჩუმად ვიყავით. როცა ერთმა ამხანაგმა არჩვის ბეჭი გამოხრა, იმის-ბეჭის დახედვამ აღძრა ლაპარაკი. ამ ბეჭზე მომავალის ბედის შემტყობმა სთქვა, რომ გეგი ხვალაც მოჰკლავს ნადირსაო. გეგიმ უცებ გამოართვა ბეჭი, დაჰხედა და ღიმილი დაეტყო სახეზე, ეტყობა გეგიც მორწმუნეა ბეჭზე წინასწარ-მეტყველებისა. ბეჭის ბრალი იყო თუ ხატისა, არ ვიცით, მხოლოდ მეორე დღეს გეგიმ მართლა მოჰკლა ჯიხვი, რომლის მოწამე ჩვენ ცხრანი ვიყავით. ვახშმის გათავება და ჩვენი კარავში წაწოლა ერთი იყო. ცხადია, ჩვენ დევის ძილით დაგვეძინებოდა: დაღალულებს მაძღარი ვახშამი ძილს როგორ არ მოგვგვრიდა. დაძინების წინად ყველამ ერთი პირობა დავსდეთ: ვინც გათენებამდინ ყველაზე ადრე გამოიღვიძოს, დამწვარ შეშის მაგიერ ცეცხლზე ახალი შეშა დააყაროს, რომ წვიმამ ძილის დროს ცეცხლი არ გაგვიქროსო. გავიდა რამოდენიმე ხანი, გაისმა ხვრინვა და ყველანი და ყველამ ღრმა ძილს მივეცით თავი. გათენდა მეორე დღე ავდრიან-წვიმიანი. მთა და ხეობა შავის ძეწრით იყო გადაფარებული. დრო-გამოშვებით გაისმოდა ქუხილის ხმაურობა; ირგვლივ შემორტყმული მთები ისეთს ბანს აძლევდნენ, რომ კაცს უნებურად წარმოუდგებოდა ის „ქვესკნელთა ძალნი", რომელთაც ააყუდეს ზუმბერაზ მთანი და ჩაჩხეს მათ შორის უზარ-მაზარი ღრე-ხევები. გვინდოდა შეგვეტყო დრო ჩვენის გალევიძებისა, მაგრამ როგორა, როდესაც სქელი ნისლები და შავი ღრუბლები მზის სხივებს არ უშვებდნენ დედა-მიწაზე. საათი მქონდა, მაგრამ ღამე დამდგარიყო, თითქოს აქაურმა დიდებულმა ბუნებამ ითაკილაო, რომ ეს კაცის ხელთ-ქმნილი ნივთი აქაც თან დამქონდა. ავზარგდით, ცოტახანი შევჩერდით, იქნება გამოდარების ნიშანი შევამჩნიოთო. სვანეთში შენიშნული აქვთ რამოდენიმე ნიშანი გამოდარებისა; ერთი ამ ნიშანთაგანი, სხვაზე უფრო სარწმუნო, ის არის, რომ როდესაც დილას ნისლი დედამიწაზეა დაკრული, ამას უთუოთ დარი მოჰყვება. ჩვენ-კი ამ ნიშანსაც ვეღარ ვხედავდით. მოცდა—დროს დაკარგვად მიგვაჩნდა და ამიტომ ისევ წასვლა ვარჩიეთ. გეგი აქვე დაგვცილდა, სანადიროდ წავიდა. ჩვენი პაემანი იყო ან მთა გორის თავი, ანა და გორის ბოლო, ე. ი. აღმოსავლეთის ძირი ხსენებულის გორის მთისა. გეგის არაფრის იმედი არა ჰქონდა, თუ ასეთი ბურუსი იქნებოდა საღამომდი: მაშინ ნადირს როგორღა დაინახავდა. გეგის გზა დავულოცეთ და ჩვენ ჩვენსას გავუდექით.

დღევანდელი ჩვენი გზა იყო მთა „გორის" უღელტეხილზე, რომელიც ცხენის-წყლის ხეობას ჰყოფს რიონის ხეობიდამ (Водораздѣльн. линія). ეს მთა ერთ მაღალ უღელ-ტეხილთაგანია, სიმაღლით 9598 ფ. *) ჩვენ გვსურდა ამალამ—რა დროსაც იქნებოდა—სოფ. ლეზში მივსულიყავით. ეს საჭირო იყო ჩვენთვის, თორემ სამ ღამეს ცის ქვეშ ყოფნა და ისიც წვიმაში, შეგვაწუხებდა. მთა «გორს» დასავლეთიდამ რამოდენიმე სერი აზის. სერებს შუა რამდენიმე ფართო ღარებია. როგორც მთის ძირი, ისე ეს სერები დაბლობზე არყნარით არის დაფარული, ცოტა ზემოდ—შკერით და სულ თავში—მთის ბალახით. გორის გზა ყველაზე უკეთ გეგიმ იცოდა, ამის გარდა ჩემს ამხანაგებში მხოლოდ ორს ევლო ამ მთაზე. გეგი დაგვშორდა და გზის მაჩვენებლად ეს ორი-ღა დაგვრჩა. ამ ორში ერთი ჩვენი ნაცნობი და ჯიუტი გიერგი იყო. როდესაც მთის აღმართს შევუდექით, ცილობა გახდა გზის შესახებ: გიერგი იძახდა ამ სერზეაო გზა, მეორე სხვა სერს უჩვენებდა. ცილობა კინაღამ უსიამოვნებად არ გარდიქცა, ამიტომ მე ძალა-უნებურად გიერგის მხარე დავიჭირე; გზის დაკარგვა მერჩია გიერგის წყრომა-რისხვასა. ამის მეტოქე ცოტად კიდეც შევტუქსე, რომ გიერგის გული მომეგო. შევუდექით გიერგის მიერ ნაჩვენებს სერს; დავდიოდით ხან აღმა, ხან დაღმა, ხან აქეთ, ხან იქით, შუშუადღემდე მაინც ბევრი გვიკლია. ნისლი გვეფინა თავზე და მთას ვერ ვხედავდით, თორემ მაშინ გავაგნებდით გზას. ტყეში წაღმა-უკუღმა ხეტიალმა ძალა გამოგვილია. გავიარეთ ტყე, ზედ მივეჯახეთ ისეთს გაუვალს ბრეკს, რომელზედაც მარტო ფეხმარდ ჯიხვს შეეძლო გავლა. გიერგი ჩაჯდა; ეხლა მიჰხვდა, რომ გზას ავცილდით და არ იცოდა, რა ექნა.

თავისუფალი სვანი

(შემდეგი იქნება)

*) ტყავის ქისა, ქამარზე ჩამოკიდებული.

*) რადდე.

4 ფუთამდე იქმნებოდაო. ამაზე მძიმე ხომლია დაკიდული კიდევ სატანცაო და სათეატრო დარბაზში და საშიშია, რომ ისინიც არ ჩამოვარდნენო. კარგია კიდევ, რომ ხომლის ჩამოვარდნის დროს ოთახში არავინ არ იყო და უბედურება არა მოხდა რაო.

*** გაზ. „ნოვ. ობოზ." ამბობს, რომ ცოფის ასაცრელის სადგომის გასამართავად ტფილისში კავკასიის საჰკურნალო მმართველობა ითხოვს ამიერ-კავკასიის თვითოეულ გუბერნიისაგან 480 მან. წელიწადშიო.

*** იმავე გაზეთის სიტყვით, ტფილისში ამ მოკლე ხანში აპირობენ სახამებლის საკეთებელ ქარხნის გამართვასაო. ქარხნის გამმართველს განზრახვა აქვს, რომ აქაურის კარტოფილისაგან აკეთოს სახამებელი თავის ქარხანაშიო.

*** გაზეთი „Новости" სწერს: ჩქარა 25 წელი შესრულდება მას აქედ, რაც კავკასია შემოგვიერთდა და აქნობამდე შავის ზღვის აღმოსავლეთ ნაპირებზე ჯერ-ჯერობით ვერავინ დავასახლეთ, რიგიანის გზებით ვერ შევუერთეთ ეს მშვენიერი მხარე რუსეთსა, რიგიანი მრეწველობა და ვაჭრობა ვერ დავაარსეთ მაშინ, როდესაც ვრცელი ლიტერატურა გვაქვს, რომელიც სცდილობს გამოსძებნოს საშუალება და ღონე ამ შავის ზღვის აღმოსავლეთ ნაპირების განსაცხოველებლად და თვით მთავრობასაც რამდენჯერმე მიუქცევია ამ საგანზედ თავისი ყურადღებაო. ამ საგანზედვე უზრუნვიათ ჩვენს სამეცნიერო საზოგადოებათაც. ამავე საგანზედა ჰქონდა კრება „რუსეთის ვაჭრობისა და მრეწველობის დამხმარებელს საზოგადოებას" ხუთშაბათს, 13 ნოემბერს. ამ კრებაზედ ბ-ნმა მ. ფ. მეცმა წაიკითხა მოხსენება იმაზედ, თუ რა ღონისძიებით შეიძლება შავის ზღვის აღმოსავლეთ ნაპირების განცხოველება და რა უმთავრესი საჭიროება აქვს ამ ჟამად ამ ქვეყანასაო.

მე მსურს, სთქვა მოხსენების დამწერმა, ერთხელ კიდევ მოვაგონო თქვენს საზოგადოებას ეს საყურადღებო საგანიო. მე არ შევეხები ამ ქვეყნის დასახლების საქმეს საპოლიტიკო და ან სტრატეგიულის აზრით, რადგან თქვენის საზოგადოების პროგრამას ესეები არა აქვს საგნადაო. ბ-ნმა მეცმა მოუთხრა საზოგადოებას დაწვრილებით, რა მდიდარი ქვეყანაა დასავლეთი კავკასია, რა ძვირფასი ტყეები და მცენარეობაა იქ, რა სამადნეულო განძია იმ ქვეყანაში და მარხულიო და სთქვა, რომ გზების განკარგება ხმელზე და ზღვაზე უპირველესი საჭიროებაა, რათა აღორძინდეს ამ ბუნებით უხვად დაჯილდოვებულს ქვეყანაში რიგიანი ყოფა-ცხოვრებაო.

კრებაზე მ. გერსევანოვმა, რომელიც იცნობს იმ ქვეყანას, სთქვა, რომ არა თუ შესაძლებელია, არამედ საჭიროც არის, რომ აღმოსავლეთი ნაპირები შავის ზღვისა, დასახლებულ იქმნას დონის ყაზახებითაო.

კრებამ ერთ-ხმად შეიწყნარა აზრი გერსევანოვისა და გადასწყვიტა, რომ ამ საგნის თაობაზე ჩვენმა საზოგადოებამ იმოქმედოს იმ კომისიასთან ერთად, რომელიც კერძო საეკონომიო საზოგადოებასთან არის დაარსებული გერსევანოვის თავს-მჯდომარეობით და რომელსაც აზრად აქვს დაასახლოს ეს ქვეყანა დონის ყაზახებითა და ეცადოს საზოგადოდ, რომ ამ ქვეყანაში სხვა და-სხვა ღონისძიებით განცხოველდეს და განკარგდეს ნივთიერი ცხოვრებაო.

*** გაზ. „Кіевлянинъ"-ი ამბობს, რომ, რადგან ეხლა განზრახვა აქვთ ისეთი სასოფლო სკოლები დამართონ, რომ ამ სკოლებში მეურნეობასა და სხვა-და-სხვა ხელობასაც ასწავლიდნენო, მთავრობა ჰფიქრობს შესცვალოს პროგრამა სწავლისა საოსტატო სემინარიებშიაცაო. პედაგოგიას საიმისო დიდი ყურადღება აღარ მიექცევაო. ამის მაგიერ ისეთის საგნების სწავლა იქმნება გავრცელებული, რომელთაც პრაქტიკული ხასიათი უფრო აქვთო. ამას გარდა სავალდებულო იქმნება სწავლა სხვა-და-სხვა ხელობისა და მეურნეობისაო. ამ გვარად ის მასწავლებელნი, რომელნიც ამ გვარს საოსტატო სემინარიებში შეასრულებენ სწავლას, შეიძლებენ წერა-კითხვის სწავლების გარდა, ასწავლონ გლეხთა შვილებს ის ხელობაცა და შესძინონ ისეთი სამეურნეო ცოდნაცა, რომელიც უფრო გამოსადეგი იქნება იმ მხარეშიო. თვით სასოფლო სკოლებიც ისე იქმნება მოწყობილი, როგორც უფრო შესაფერია იმ ადგილისათვის, სადაც სკოლაა გამართულიო. მაგალითად, ერთგან მეტი ყურადღება მიექცევა ბოსტნეულობისა და სახლის მოვლასა, მეორეგან—დურგლობასა, ანუ ხარაზობასა, მესამეგან მჭედლობასა და ჩილინგდრობასა და სხვანიო.

*** 24 ნოემბერს, რიყეზე, ტიტიჩევის ყავახანაში ჩხუბი მოსვლიათ ტფილისის მცხოვრებს გიგო ბელიევსა და იოსებ ილურიძეს და ერთმანერთი დაუჭრიათ დანითა. პირველი მძიმედ არის დაჭრილი მარცხენა ფერდში, ხოლო მეორე-კი—სუმბუქად. ორთავე დაჭრილნი საავად-მყოფოში იქმნენ გაგზავნილნი. გამოძიება სწარმოებს.

*** 23 ნოემბერს ღამე, მე-9 ნაწილში, ოლქის საარტილერიო გამგეობის უფროსს ადიუტანტის პოლკოვნიკ ეფრემოვის სახლში ცეცხლი გაჩნდა და 650 მანათის ტანისამოსი და სახლის ვეჯი დაიწვა. ქონება ეფრემოვისა დაზღვეული იყო „რუსეთის მზღვეველ საზოგადოებაში". ცეცხლი თითონვე გაექროთ. გამოძიება სწარმოებს.

## ნაკვესი

ერთი ჩვენებური დიდი-მებატონე კარგა მდიდარი იყო. ბედმა ყველაფერი არგუნა განცხრომისა და სიტკბოებისათვის და სულით და გულით კეთილის ცხოვრების ამყოლი და მოყვარე იყო. ყველაფერი მზა-მზარეულად ეძლეოდა ბედისაგან უშრომელად და გაურჯელად. ამიტომაც იგი თავის დღეში არას აკეთებდა. ძალიან კი უყვარდა დილით ადრე ადგომა. ერთხელ ერთმა მეზობელმა თავადიშვილმა ჰკითხა:

— ნეტავი მითხრა: შენს დღეში არას აკეთებ და ესე ადრე რადა სდგებიო?

— იმიტომაო, რომ რაც შესაძლოა გძლად დავსტკბე არა-რაის კეთების სიტკბოებითაო, უპასუხა ფილოსოფოსმა მებატონემ.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

დეპეშიდამ უკვე იციან ჩვენმა მკითხველებმა, რომ ამას წინად საექიმო აკადემიის პროფესორმა კალომნინმა თავი მოიკლა. პროფესორმა, როგორც ვიცით, დოსტაქარობა операція) გაუწია ერთ ქალს და ქალი რამდენისამე საათის შემდეგ მოკვდა. პროფესორმა ეს ვერ აიტანა, რადგან ამ ქალის სიკვდილის მიზეზად თავის თავსა სთვლიდა, და თავი მოიკლა. რუსეთის ჟურნალ-გაზეთობაში დიდი ლაპარაკი ასტყდა ამ ამბის გამო. აი ერთ კვირაზე მეტია, რაც ეს ამბავი მოხდა, და აქამდინ ლაპარაკი ჯერ კიდევ არ შეწყვეტილა: ამ ამბავს ათას გვარად სჯიან და ატრიალებენ. ზოგს არ მოსწონს, რომ საბრალო პროფესორმა ასე სასტიკად დასჯა თავისი თავვე, შეცდომა ვის არ მოუვაო, ზოგნი კი, და სხვათა შორის მომეტებულად «Новое Время», ქება-დიდებას უძღვნიან პროფესორს კალომნინს და ამის საქციელს თითქმის გმირულ, სამაგალითო საქმედა სთვლიან.

ბ-ნმა მეშჩერსკიმაც სთქვა თავისი სიტყვა, თავის აზრი და, რასაკვირველია, სთქვა თავისებურად, „მეშჩერსკებურად". ბ-ნი მეშჩერსკი ამ სახით გვაცნობებს თავის აზრსა, ვითომ გაზეთ «Новое Время»-ს რედაქციაში მისულა ორი კაცი და გაჯავრებით უთქვამთ:

— რას სჩადით? რასა სწერთ? ქალის სიკვდილის მიზეზი ხომ დოსტაქარობა არ იყო? კალომნინს რათა სდებთ ამ ბრალსა, პროფესორი სრულიად უბრალო იყო ამ საქმეში. თქვენ როგორ ჰბედავთ და ამტკიცებთ, რომ კალომნინს ამის შემდეგ ქვეყანაში თავი აღარ გამოესვლებოდა და უთუოდ უნდა თავი მოეკლაო?..

— რაც დავწერეთ, დავწერეთ,—ეს პასუხი მიიღეს მხოლოდ რედაქციაში.

ეს კიდევ არაფერი. იმავე ბედკრულ „Новое Время"-ს რედაქციაში მეორე დღეს მისულა კიდევ რამდენიმე გაზეთის წერილით გულ-ნატკენი, გაჯავრებული კაცი და ლაპარაკი დაუწყვიათ. ერთი ამბობდა თურმე:

— ღვთისა მაინც არ გეშინიანთ, რას სჩადიხართ... დაუფიქრდით კარგად, რას ჰქადაგობთ, რა აზრებს ავრცელებთ ჩვენს ახალგაზდობაში, იმ ახალგაზდობაში, რომელსაც ისეც ყოველი სარწმუნოება დაკარგული აქვს, ყოველი მოვალეობა საზოგადოების წინაშე სრულიად დაუვიწყნია... ასეთი აზრი ხომ საწამლავია...

— მართალია, მართალია,—უპასუხნიათ ვითომ რედაქციაში, მაგრამ რას იზამთ...

სხვები კიდევ ასეთს დარიგებას უკითხავდნენ თურმე იმავე რედაქციას:

— რასა სწერთ? ათას-ჯერ უფრო უკეთესი, ღირსეული, პატიოსნური არ იქნებოდა როგორც საქციელი, ისე მაგალითი,—რომ პროფესორ კალომნინს ასეთი სულ-მდაბლობა არ გამოეჩინა, თავი არ მოეკლა და, ამის მაგიერ, შეეკრიბა თავის მოწაფენი, გულ-ახდილად დაეწყო იმათთვის ლაპარაკი, საქვეყნოდ აღეარებინა თავისი შეცდომა, თუ მართლა შეცდომა მოუვიდა დოსტაქარობის დროს? ეს უბედური შემთხვევა ბევრს აუხელდა თვალსა, დააფიქრებდა, გააფთხილებდა და აშკარად უჩვენებდა, რომ ყველა ექიმი, თუნდ თვით სახელ-განთქმული პროფესორი, უნდა დიდის ყურადღებით და სიფრთხილით მოექცეს ყოველს ავადმყოფობასა... აი ეს იქნებოდა ნამდვილი კეთილშობილური და სამაგალითო საქციელი და არა ისა, როგორც თქვენ ბრძანებთ, რომ კაცმა თავში დამბაჩა იკრას...

— დიახ, დიახ, მართალსა ჰბრძანებთ, მართალს, მაგრამ ეხლა გვიანღაა! . ვწუხვართ, რომ ყველა ეს წინათვე ვერ მოვიფიქრეთ,—უპასუხეს „Новое Время"-ს რედაქციაში...

ჩვენის ფიქრით, ეს აზრი მართალიც არის და საფუძვლიანიც. რასაკვირველია, ეს აზრი თვით ბ-ნ მეშჩერსკის ეკუთვნის, მაგრამ ბ-ნი მეშჩერსკი იმდენად თავ-მდაბალი და მორცხვია, რომ ვერ ჰბედავს თავის სახელით გამოაცხადოს და ისე გამოჰყავს, ვითომ სხვებს უთქვამთ ყველა ეს. მორცხვობაც კარგი ღირსებაა, თუმცა ბ-ნ მეშჩერსკის-კი არ შეჰფერის!...

***

დღეს ბევრსა ლაპარაკობენ ნემენცების გამოჩენილ ფილოსოფოს შოპენგაუერზე, რომლის შესანიშნავი აზრები ჩვენც არაერთხელ გვქონდა მოყვანილი ჩვენს გაზეთში. დღეს სახუმარო გაზეთს „Стрекоза"-საც მიუქცევია ყურადღება ამ დაღვრემილ, კაცთ-მძულვარე ფილოსოფოსისთვის და ამის რამდენიმე აზრი დაუბეჭდია. მოგვყავს აქ ჩვენც ზოგიერთი:

სადაც ბევრი სტუმარი შეიყრება, ამათში უთუოდ ბევრი საძაგელი კაციც გამოერევა, თუმცა ყველანი „ვარსკვლავოსნებიც" იყვნენ.

გარეული, განადირებული ადამიანები ერთმანეთსა სჭამენ, გაშინაურებულები ერთმანეთს ატყუებენ,—აი ამას უწოდებენ წუთი-სოფლის გატარებასა.

ერთგულის ძაღლის კუდის ქნევას უფრო ვენდობი, ვიდრე ასის კაცის მეგობრობას და პატივისცემას.

საქვეყნოდ თავის გამოჩენა და სახელის მოპოება დიდი განძია, თუ არა? აი ერთი ბერძნების ორატორი რა აზრისა ყოფილა. ორატორს ერთხელ სიტყვა წარმოეთქო და ხალხი ისეთს აღტაცებაში მოეყვანა, რომ ტაშის კვრას და ყვირილს თურმე ბოლო აღარა ჰქონდა. ორატორი მიუბრუნდა თურმე თავის მეგობრებს და უთხრა: „იქნება წამომცდა და ცუდი, უაზრისი რამ გვთქვი?"

## უცხოეთი

ბოლგარია. ბერლინითგან დეპეშით აუწყებენ გაზ. „Новости"-ს: სოფიითგან წავიდა დეპუტაცია სამის კაცისაგან შემდგარი იმ დიდთა სახელმწიფოებთან, რომელთაც ბერლინის ხელ-შეკრულობაზედ ხელი უწერიათ. ოსმალეთის დიპლომატიურს აგენტს გადბან-ეფენდის ნოტა მიუწერია ბოლგარიის გარეშე საქმეთა მინისტრს ნაჩევიჩთან და ურჩევია სარეგენტო მთავრობისათვის, რომ ნუ გაგზავნით დეპუტაციას დიდთა სახელმწიფოებთან, მაგრამ მთავრობას გადბან-ეფენდის რჩევისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

— სოფიითგან დეპეშით აუწყებენ გაზ. „Berliner Tageblatt"-ს: გადბან-ეფენდიმ მისწერა ოსმალეთის მთავრობას: ძნელად თუ თავად მეგრელიის კანდიდატურამ გაიმარჯვოსო და ამოირჩიონ მთავრადაო. დიდთა სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა რჩევა მისცეს ბოლგარიის მთავრობას, რომ უკანასკნელნი შეამბოხენი რაც შეიძლება სასტიკად დასაჯეთო.

— ვენის გაზეთების სიტყვით, სტამბოლში ოსმალეთის მინისტრებს აი რა აზრისანი ყოფილან ბოლგარიის საქმის გამო: 1) ერთად უნდა შეერთდნენ ყველა დიდნი სახელმწიფონი და მოსთხოვონ ბოლგარიის სარეგენტო მთავრობას, დაანებონ თავიანთ სამსახურს თავი; 2) სთხოვონ სამინისტროს, რომ ეხლანდელი დიდი საერო კრება დაჰშალოს და, ბერლინის ხელ-შეკრულობის თანახმად, ახალი კრება მოიწვიოს მთავრის ამოსარჩევად; 3) ბოლგარელებმა უეჭველად უნდა მიიღონ თავადი მეგრელიისა იქნება, თუ სხვა რომელიმე კანდიდატი რუსეთისა,—თუ ამ კანდიდატის ამორჩევის გამო დიდნი სახელმწიფონი წინააღმდეგობას არ გამოაცხადებენ. ეს გარდაწყვეტილება ოსმალეთის მინისტრებისა სულთანს დაუმტკიცებია. ლონდონის გაზეთები ამბობენ, რომ ეს ნოტა უკვე გაიგზავნა დიდთა სახელმწიფოებთანაო.

— Vossische Zeitung"-ი ტირნოვოდამ მიღებულის ამბების გამო ამბობს, რომ ბოლგარიის მთავრობას სესხად ფული უშოვნიაო. ფულს ბუხარესტში სესხულობს, რიცხვით ათ მილიონ ფრანკსაო.

— თავად ნიკოლოზ მეგრელიის კანდიდატურაზედ სულ ერთმანერთის წინააღმდეგს ცნობებს ჰბეჭდავენ საზღვარ-გარეთის გაზეთები. ზოგნი ამბობენ, რომ ეს საქმე უკვე აფიციალურად არის გამოცხადებულიაო, მეორეები კი იმას გაიძახიან, რომ ჯერ დიდთა სახელმწიფოთ არ უთქვამთ, თანახმანი არიან სამეგრელოს თავად ნიკოლოზის კანდიდატობაზედ, თუ არაო. მაგალითებრ, ბრუსელის გაზ. „Nord"-ის პეტერბურგელი კორრესპონდენტი აუწყებს ამ გაზეთს, რომ ყველა დიდნი სახელმწიფონი თანახმანი არიან თავად მეგრელიის კანდიდატობაზეო. გრაფ კალნოკიმ გამოაცხადა, რომ ავსტრი-ვენგრია თანახმაა, ვინც უნდა იყოს დანიშნული კანდიდატად რუსეთის-მიერ, ნიკოლოზ ჩერნოგორიელისა და თავად პეტრე ყარაგეორგიევიჩის გარდაო. ბოლგარიის მმართველები წინააღმდეგნი არიან რუსეთის კანდიდატისაო, ამბობს ეს კორრესპონდენტი, და თავისი კანდიდატი გამოჰყავთო. ეს ახალი კანდიდატი ბოლგარიის მმართველების-მიერ მოწონებული თავადი მანუელ ვოგორიდია, შვილი განსვენებულის მოლდავიის მთავრისაო. ამბობენ, რომ თავადი ვოგორიდი რუსეთის მომხრეა და თუ ბოლგარიის მთავრობა ირჩევს, ირჩევს იმიტომ-რომ რუსეთის მხრივაც მოწონებული იქმნებაო. იმასაც ამბობენ, რომ ბოლგარები პრინც ოლდენბურგის ამორჩევას უფრო დასთანხმდებიან, ვიდრე სამეგრელოს თავად ნიკოლოზის ამორჩევასაო.

ინგლისი გაზ. „Wiener Allg. Zeitung"-ს დეპეშით აუწყებენ ლონდონითგან: „იმ ამბავმა, რომ გენერალი კაულბარსი დიდის პატივით მიუღიათ სტამბოლში და სულთანს ორდენი უბოძებია, ცუდი მოქმედება იქონია ლონდონშიო.

— 14 ნოემბერს დუბლინში რჩევა ჰქონიათ. ამ რჩევას დასწრებიან ვიცე-კოროლი, ირლანდიის საქმეთა გამგე, კანცლერი, გენერალ-პროკურორი, მთავარ სარდალი ირლანდიის ჯარებისა და გენერალი სერ რედვერს ბოლლერი. ამ რჩევაზე გადაუწყვეტიათ, რომ სასტიკად მოეპყრათ ყველა იმათ, რომელნიც ფერმერებს აქეზებენ და ურჩევენ, რომ საიჯარადო ფულს ნუ გარდაიხდითო; ამას გარდა სამართალში მივსცეთ ზოგიერთი ირლანდიელი გაზეთები, რომელნიც მკვიდრთ ლენდლორდების წინააღმდეგ აქეზებენო. იმედი აქვსთ, რომ ირლანდიის მეამბოხეთა მეთაურებს ჩქარა დავიჭერთო.

— გაზ. „Standard"-ი ამბობს, რომ ინგლისის მთავრობას ჯერ არ გადაუწყვეტია სამუდამოდ დაიჭიროს გამოლტო-

ნის ნავთ-სადგურით. ჩინეთის მთავრობამ მოსთხოვა ინგლისს, რომ გამილტონის ნავთ-სადგურითგან ჯარები გამოიყვანეო, მაგრამ ჯერ-ჯერობით ინგლისს არაფერი უპასუხნია ჩინეთისათვისა. ტორიების გაზეთი ამბობს, რომ თუ ინგლისი ჯარებს გამოიყვანს გამილტონითგან, გამოიყვანს ჯერ ერთი იმიტომ, რომ რუსეთს მიზეზი არა ჰქონდეს ლაზარევის ნავთ-სადგურის დაჭერისაო და მეორე იმიტომ, რომ ჩინეთს ასიამოვნოსო.

ავსტრი-ვენგრია. „Новости"-ს აუწყებენ ვენითგან დეპეშით, რომ სასახლეში სადილის დროს იმპერატორი ფრანც-იოსები მიუბრუნდა ავსტრიის დელეგაციის წევრებს შტურმასა და ლებლეიუსს და უთხრა, რომ ევროპის პოლიტიკური მდგომარეობა თან-და-თან უფრო განკარგდა, გაუკეთესდა და ამიერითგან უფრო დიდი იმედი უნდა გვქონდეს, რომ მშვიდობიანობა არ დაირღვევაო.

—ბელგრადითგან დეპეშით აუწყებენ გაზ. „Новое Время"-ს 17 ნოემბერს, რომ სერბიის მთავრობამ შეთქმულობა აღმოაჩინა კოროლ მილანის წინააღმდეგაო. ზოგნი ამბობენ, რომ მილანის დაჭერა სურდათ და მეორენი, რომ ძალ-მომრეობით უნდოდათ მილანი ჩერნოგორიაში გაეგზავნათო. შეთქმულნი დანიშნულს დროს უნდა შეკრებილიყვნენ ანტავარისა, ცეტინიესა და სხვა ადგილებითგან სერბიის სამზღვარზე, ვრანის ახლო. წარსულს კვირას კოროლი მილანი ვრანის ახლო-მახლო ნადირობდა. შეთქმულთ განზრახვა ჰქონდათ, შეეპყროთ და ჩერნოგორიაში გაეგზავნათო. ამ განზრახვის აღსრულებაში მოუვანა ოთხშაბათსა სდომებიათ. ბელგრადის პოლიციას დროზედ შეუტყვია ეს შეთქმულობა და კოროლ მილანისათვის შეუტყობინებია ეს ამბავი. მილანი სამშაბათს ღამესვე დაბრუნებულა ბელგრადში. შეთქმულობა ფრანასოვიჩს აღმოუჩენია. ბელგრადში ამ საქმის გამო გამოძიება სწარმოებს და ამ გამოძიებას ძალიან საიდუმლოთ ინახავენო. ვენგრიის გაზეთები ამბობენ, რომ შეთქმულებს ბევრი მომხრენი ჰყავთ სერბიასა და სამხრეთ ვენგრიაშიაცაო.

# დეპეშა

24 ნოემბერს

პეტერბურგი. შაქრის ქარხნის პატრონმა კენიგმა გააიაფა შაქარი და ფუთზე 90 კაპ. დაუკლო.

კორკი, ირლანდიაშია გუშინ, როცა კრებაზე დიდი ჩხუბი მოუვიდათ ხალხსა და პოლიციას, ბევრი დაიჭრა ხალხთაგანიც და პოლიციელთაგანაცა.

ბელგრადი. ბოლგარიის დეპუტაცია მიიღო სერბიის პირველმა მინისტრმა.

25 ნოემბერს

ჟურჟევო. გუშინ რუშჩუკის მკვიდრთა უარი განაცხადეს, რომ ბატენბერგის სასარგებლოდ ყრილობაში მონაწილეობას არ მივიღებთო. შუმლასა და ვარნაში არტილერიის აფიცრები მალიან გულამღვრეულნი არიან მთავრობაზე იმ შეურაცხყოფის გამო, რომელიც მაიორ პანიცამ მიაყენა ერთს არტილერიის აფიცერს

სოფია. დეპუტაციისთვის მიუწერიათ დეპეშით, რომ ბერლინში ნუღარ წახვალთ, როგორც წინად განზრახული იყოვო, არამედ ვენაში რუსეთის ხელჩოში შეიტყეთ, პეტერბურგში მიღებული იქმნებით თუ არა და, თუ რიგიანი პასუხი მიიღოთ, ვენიდამ პირ-და-პირ პეტერბურგში წადითო.

ბოლგარიის სამხედრო მინისტრმა ბრძანება გამოსცა, რომ ერთის თვის განმავალობაში ბოლგარიის რვა სახქვეითო რაზმს სათითაოდ კიდევ მეოთხე დრუჟინა მიემატოსო.

პეტერბურგი. მინისტრების კომიტეტმა დაადგინა: ფინანსთა მინისტრს მიენდოს ნება მისცეს იმ შაქრის ქარხნებს, რომელნიც ვერ შეიძლებენ სააქციზო გარდასახადის და საზღვარ გარეთ გასატანის ბაჟის შეტანას $188^5/_6$ წლის 1-ლ დეკემბრის თვის, იშუამდგომლონ სამინისტროს წინაშე, რომ ამ გარდასახმდების შეტანა დასცალდეთ 1887 წლის 1-ლ მარტამდე იმ პირობით კი, რომ თვეში $^1/_2\%$ ჯარიმა გამოერთოთ და ამასთან ნაკლები თვე სრულ თვედ ჩაითვალოს. ფინანსთა მინისტრი, აუწყებს რა, 24 ნოემბრიდამ, სააქციზო ხარჯის მოკრების გამგებლებს ამ მინისტრების გარდაწყვეტილებასა, უმატებს, რომ მექარხნეების შუამდგომლობა უნდა წარდგენილ იქმნას სამინისტროში სააქციზო გამგებლების მიერ, რომელთაც ამასთანავე თავიანთ აზრიც უნდა აცნობონ.

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპვ (1886) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უჴო=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდებ-2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3.

ნოემბერი 30 დღით არის.

**26 დღე ოთხშაბათი.** წმ. ავლიპი მესვეტისა. კათოლ. წმ. ეპ. ალმას. გრიგოლ ტაუმატურგიასი. სომეხ. მარხვაა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—52—9. ტფილისში მზე ამოდის 7—14, ჩადის 4—30; მთვარე ამოდის 3—7, ჩადის 3—27.

**27 დღე ხუთშაბათი.** წმ. მოწ. იაკობ სპარსისა. კათოლ. 27-სა, 28-სა და 29-ს ღვთის-მსახურება წმ. კლიმენტის დღესასწაულის მე-8 დღის გამო. სომეხ. წმ. კლიმენტისა და ბაგარატ ეპისკოპ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—52—36. ტფილისში მზე ამოდის 7—15, ჩადის 4—30; მთვარე ამოდის 3—44, ჩადის 4—28.

**28 დღე პარასკევი.** წმ. მოწ. სტეფანესი, ვასილისა და სხ. სომეხ. ნახატონაქი. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—53—3. ტფილისში მზე ამოდის 7—16, ჩადის 4—30; მთვარე ამოდის 4—16, ჩადის 5—29.

**29 დღე შაბათი.** წმ. მოწ. პარამონ, ფილუმენ, ღირს. აკაკისა, წმ. დიდ. მოწ. აბიბოსი, ნეკრესის ეპისკოპოსისა. სომეხ. წმ. მოციქ. პირველ-განმანათლებელ სომეხთ თადეოსისა და ბართოლომესი. მუსულ. დაბადება იმამის ჯაფარ-სადიკისა. შაჰ-ნადირი საომრად წავიდა ინდოეთში. შაჰ-ნადირს თან გაჰყვნენ აგრეთვე ბატონიშვილი ირაკლი და კახეთის და ქართლის გამოჩენილნი თავადნი, 1738 წ.—გრაფი მურავიევი 1-ლი დაინიშნა კავკასიის მთავარ მართებლად, 1854 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—53—30. ტფილისში მზე ამოდის 7—17, ჩადის 4—30; მთვარე ამოდის 5—13, ჩადის 6—21.

**30 დღე კვირა.** წმ. მოციქ. ანდრია პირველ-წოდებულისა, ეპ. ფრუმენტისა. კათოლ. პირველი კვირა ადვენტისა და ღვთის-მსახურება ამაზედვე. სომეხ. ქორწინების ნება ეძლევათ. ბრძანება გამოვიდა მმართებელობის სენატისაგან 1874 წ., რომ ამიერ-კავკასიაში შემოღებულ იქმნეს უმაღლესად დამტკიცებული სამოქალაქო დებულება. —ბატონიშვილს ბაქარ ვახტანგის ძეს პირ-და-პირ ებოძა რუსეთის ჯარის არტილერიის გენერალ-ლეიტენანტობა, 1729 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—53—58. ტფილისში მზე ამოდის 7—17, ჩადის 4—31; მთვარე ამოდის 6—8, ჩადის 7—30.

დეკემბერი 31 დღით არის.

**1 დღე ორშაბათი.** წინ.-მეტყ. ნაომისა, წმ. მოწ. ანანიასი. კათოლ. წმ. მოციქ. ანდრიასი. სომეხ. წმ. ეპისკ. გენარიასი და სხვ. დაარსდა ტფილისში სახაზინო პალატა, 1849 წ. —სამეგრელოს გლეხები განთავისუფლებულ იქმნენ ბატონ-ყმობითგან, 1866 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—54—26. ტფილისში მზე ამოდის 7—18, ჩადის 4—31; მთვარე ამოდის 7—9, ჩადის 8—28.

**2 დღე სამშაბათი.** წინას.-მეტყ. ამბაკომისა, ღირს. ეპისკ. ისე წილკნელ. კათოლ. ქალწ.-მოწ. ბიბიანისა. სომეხ. წმ. კორნელის ასის-თავისა, სვიმეონ, ნათესავისა ქრისტესი და სხ. მუსულ. მე-20 რიცხვი თთვისა რები-ულ-ევველისა, 1304 წ. ჰიჯრისა. სამეგრელოს მთავარი თავადი გრიგოლ დადიანი რუსეთის ქვეშევრდომი შეიქმნა, 1803 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—54—55. ტფილისში მზე ამოდის 7—19, ჩადის 4—31; მთვარე ამოდის 8—13, ჩადის 9—21. მთვარე 19 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

**ნიხრი**

1 ნოემბრიდამ 1 დეკემბრამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| წითელი პური 1-ის ხარისხისა . | 3 | |
| › 2 › | 2½ | › |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | › |
| › › 2— | 3½ | › |
| › › 3 › | 3 | › |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 | › |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | › |
| მე-3 — . . . | 3½ | › |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 7 | › |
| ‹ 2 › | 6 | › |
| სუკი . . . . . | 13 | › |
| ცხვრის ხორცი . . . . | 6 | › |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხის. | 56 | › |
| › 2 › | | › |

# განცხადებანი

რადგან 16 ნოემბრისთვის დანიშნული კრება წევრთა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა" ვერ შესდგა, კანონიერ წევრთა დაუსწრებლობისა გამო, ამისთვის, წესდების § 15 ძალით, მეორედ არის დანიშნული 30 ნოემბერს, დილის 10 საათზედ, სათავად აზნაურო ბანკის დარბაზში საგანგებო კრება წევრთა აღნიშნულის წერა-კითხვის საზოგადოებისა განსახილველად: ა) ბათუმის სკოლის საქმისა, ბ) წიგნების ბეჭდვისა და გ) ახალთა წევრთა ამოსარჩევად იმათ მაგიერ, რომელთაც ქალაქ გარედ ცხოვრებისა გამო აღარ შეუძლიათ მმართველობის წევრის თანამდებობის აღსრულება. ეს კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენიც უნდა წევრი დაესწროს კრებას. (5—2)


საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ივერია"

1887 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით . . . | 10 მ. — კ. | 6 თთვით . . . | 6 მ. — კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 › | 5 „ . . . | 5 „ 25 › |
| 10 „ . . . | 8 „ 75 › | 4 „ . . . | 4 „ 75 › |
| 9 „ . . . | 8 „ — › | 3 „ . . . | 3 „ 50 › |
| 8 „ . . . | 7 „ 25 › | 2 „ . . . | 2 „ 75 › |
| 7 „ . . . | 6 „ 50 › | 1 „ . . . | 1 „ 50 › |

სამზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება —17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია" მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

*Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ."*

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი, სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი —60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ დასაბეჭდი ხელ-ნაწერები, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერების და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირ-და-პირ მოლაპარაკებისთვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე კვირა-უქმების გარდა პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.



ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1887 ГОДЪ

# „ЭПОХА".

**II годъ изданія.**

ЕЖЕМѢСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛЪ.

Имена какъ: Н. Чаевъ, И. Саловъ, С. А. Юрьевъ, Н Лѣсковъ, Д. Минаевъ, Вл. Немировичъ-Данченко, князь Сумбатовъ (Южинъ), Н. Сторожевскій, Фр. Шпильгагенъ, Фр. Гаклендеръ, Н. П Аксаковъ, Н. А. Потѣхинъ, А. Н. Майковъ, Л. И. Пальминъ, В П Бефани, Е. Оржешко, Э. Вогюэ, Н. Угрюмовъ, В. С. Баскинъ, С. Н. Филипповъ, И. П. Деспотули и многіе другіе обезпечиваютъ читателямъ „Эпохи" то художественное содержаніе, которое они въ правѣ требовать отъ ежемѣсячнаго художественно-литературнаго журнала.

„Эпоха" помѣщаетъ исключительно выдающіяся литературныя произведенія лучшихъ нашихъ авторовъ. Строго слѣдуя своей задачѣ, „Эпоха" воздерживается отъ помѣщенія излишняго балласта, желая, чтобы читатель нашелъ въ каждой книжкѣ „Эпохи" исключительно матеріалъ, заинтересовывающій его отъ начала до конца, и, чтобы такимъ образомъ, не осталась непрочитанною ни одна страница „Эпохи". Въ этомъ и заключается особенность нашего журнала

Чутко слѣдя за каждымъ вновь-появляющимся, въ Россіи или заграницей выдающимся литературнымъ произведеніемъ, Редакція „Эпохи" при выборѣ матеріала и въ будущемъ году будетъ руководствоваться исключительной цѣлью—дать лучшее изъ лучшаго.

Въ первой годъ своего изданія „Эпоха" сразу пріобрѣла общую симпатію своихъ читателей, и въ 1887 приложитъ всѣ, отъ нея зависящія мѣры, чтобы успѣхъ и симпатія перваго года, были обезпечены и въ будущемъ.

Стремясь группировать вокругъ себя лучшихъ современныхъ писателей, Редакція „Эпохи", такимъ образомъ, вполнѣ разсчитываетъ доставить своимъ подписчикамъ истинно-художественное наслажденіе.

„Эпоха"—первый и пока единственный представитель въ Россіи того типа изящныхъ ежемѣсячныхъ художественно-литературнихъ журналовъ, который господствуетъ и занимаетъ первое мѣсто заграницей уже въ теченіи многихъ лѣтъ, составляя необходимую принадлежность почти каждой образованной семьи.

Помѣщая множество серьезнаго матеріала, въ художественной формѣ, „Эпоха" вмѣстѣ съ тѣмъ, дастъ въ будущемъ году въ приложеніяхъ къ каждой книжкѣ по одному разсказу юмористическаго содержанія. Мастерское изложеніе этихъ разсказовъ отличается блестящимъ остроуміемъ, и они будутъ богато иллюстрированы въ манерѣ кроки, талантливѣйшими русскими и иностранными художниками этого жанра.

„Эпоха" выходитъ ежемѣсячными книжками, объемомъ около 10 печатныхъ листовъ каждая. и будетъ богато и изящно иллюстрирована.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА НА 1887 годъ:

| | | |
|---|---|---|
| на 1 годъ безъ доставки. . . . . . . . . | 5 | руб. |
| съ доставкою и пересылкою . . . . . . . | 6 | „ |
| на ½ года безъ доставки 3 руб. съ пересылкой . | 3 | „ 50 к. |
| съ пересылкой заграницу . . . . . . . . | 8 | „ |

Допускается разсрочка подписныхъ денегъ: При подпискѣ 2 рубля, 1-го Марта 2 руб. и 1-го Августа 2 руб.

Подписка принимается во всѣхъ лучшихъ книжныхъ магазинахъ. Въ С.-Петербургѣ, въ отдѣленіи Редакціи „Эпоха": Невскій проспектъ, № 8, при конторѣ Ф. Петрикъ. Гг. иногородніе адресуютъ прямо въ редакцію журнала „Эпоха", Москва, Столешниковъ пер., д. Корзинкина.

Редакторъ Д. А. Мансфельдъ. Издатель Л. Метцль.

(5—1)


Дозв. ценз. Тиф. 25 ноября, 1886 г. Типографія „Кавказскаго Обозрѣнія" (Н. И. Френкель) Караван-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე